82(092)
ვ-54

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეთერ კირცხალია

სიმბოლო და იგავი უილიამ გოლდინგის შემოქმედებაში

10. 01. 05 – ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **მანანა გელაშვილი**

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ირაკლი კენჭოშვილი (10.01.05)

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ირაკლი ცხვედიანი (10.01.05)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის „21" „ივნისს 13.00
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (p. 10.06 №8) სხდომაზე.
მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის №36, აუდ. №48

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: უნივერსიტეტის ქ.№2

ავტორეფერატი დაიგზავნა „20" „მაისს"

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი /რ. ციხითათრიშვილი/

- 1963 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება უილიამ გოლდინგის შემოქმედებას. იგი მე-20 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის შემოქმედება კრიტიკოსების განსაკუთრებულ ყურადღებს იმსახურებს, რაც იმით არის განპირობებული, რომ მისი თითქმის ყველა რომანი ფილოსოფიური იგავია, რომლის მარტივ ფაბულაში რთული ფილოსოფიური არსია ჩადებული - ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი ბოროტების წარმოჩენა და იმ კრიტიკული ზღვარის დადგენა, რომლის გადალახვის შემდეგაც ადამიანი აღარ არის უცოდველი.

აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსთა უმრავლესობა ძირითადად ამახვილებს ყურადღებას მის პირველ რომანზე „ბუზების მეუფე", ხოლო მისი შემდგომი შემოქმედება ნაკლებად არის შესწავლილი.

ჩვენი არჩევანი მითუმეტეს გამართლებულია თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ამ ავტორის შესახებ მასალის მოძიება თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთადერთი ხელმისაწვდომი სტატია სახელწოდებით „იგავი და სიმბოლო გოლდინგის რობინზონადაში" მოიძებნა ნიკო ყიასაშვილის კრებულში „სქილასა და ქარიბდას შორის." ეს სტატია გაცნობითი ხასიათისაა და ეხება რომანის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს, კერძოდ, სტატიის ავტორი წარმოგვიდგენს ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრილი გამოუცდელი ადამიანების ფსიქოლოგიის და ქცევის ანალიზს. ბოლო დროს გოლდინგისადმი ინტერესი საქართველოში იზრდება, რასაც ადასტურებს მისი რომანის „ბუზების მეუფის" თარგმნა ქართულ ენაზე.

<u>სადისერტაციო ნაშრომის მიზანია</u> გოლდინგის რომანის, როგორც ფილოსოფიური იგავის მონოგრაფიული შესწავლა, იმის ჩვენება, თუ რა სიახლე შეიტანა გოლდინგმა ტრადიციული იგავის ფორმაში. ამ მიზნით სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია მწერლის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები – „ბუზების მეუფე" (1954), „მემკვიდრეები" (1955), „ფინჩერ მარტინი" (1956), „თავისუფალი ვარდნა" (1959), და „ქაღალდის ადამიანები" (1984). გოლდინგის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი ეთმობა სიმბოლოებს, რომელთა საშუალებითაც იგი განიხილავს ძირითად თემას მრავალ ასპექტში,